საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

პარასკევი, 1 ოქტომბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 500 მან.

ფასი 10 მან.

№ 56 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 56

## წინაპრები და ჩამომავლობა

კ. მარქსმა სთქვა: საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ გლეხები გაათავისუფლა და მათი შემწეობით მთელი ევროპა დაიპყრო. და მართლაც, 120 წლის უკან პირიქის წვრილი ბურჟუაზიის აჯანყებამ არა თუ დალეწა შინაური ფეოდალიზმის და აბსოლიუტიზმის ტახტი, თვით ევროპის ყველა კუთხეები გადაიარა მაცოცხლებელ გრიგალათ და მტვრათ აქცია ხალხთა მონობის ბორკილები, დესპოტიზმის ტახტები. ბუმბერაზ რევოლიუციონერთა—იაკობინელთა სახალხო მილიცია, მაშინდელი წითელი ჯარი რევოლიუციისა, სადაც კი შეიჭრებოდა ანადგურებდა მტარვალთა ტახტებს, წინ მიერეკებოდა ტირანებს. მისი ლოზუნგი იყო: ომი სასახლეებს, მშვიდობა ქოხებს! იაკობინელთა კონვენტი მიმართავდა გათავისუფლებულ ხალხებს: ჩვენ მოგაცილეთ მტარვალები, ჩვენვე დაგიფარავთ მათ უკან დაბრუნებისა და შურისძიებისაგან, თქვენ კი გაიმართეთ წელში, აიღეთ თქვენი ბედი თქვენსავე ხელში, დაანახეთ ქვეყნიერებას, რომ ღირსი ხართ თავისუფლების, ხალხურ თვითმართველობის!

ასეთი ყიჟინით გადადიოდა საფრანგეთის სანკიულოტების (ბოგანოების, მდაბიო ხალხის) რევოლიუცია ერთი ქვეყნიდან მეორეში, ათავისუფლებდა ხალხებს, მათი თავისუფლება მიაჩნდა თავისი საკუთარი თავისუფლების საუკეთესო უზრუნველყოფად. მარა რამდენიმე წლის შემდეგ მას შეებრძოლა მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის რეაქცია, დაეცა ხალხური რეჟიმი პარიჟელი წვრილი ბურჟუაზიის და პროლეტარებისა. ფეოდალიზმის ნანგრევებზე აღიმართა ტახტი ბურჟუაზიის განუყოფელი ბატონობის, რეჟიმი შრომის დათრგუნვის და გაყვლეფის უფალ კაპიტალის მიერ. 100 წლის ბურჟუაზიულმა ბატონობამ მოაშინაურა რევოლიუციონური წვრილი ბურჟუაზია, კაპიტალის ბაგაზე მიაბა იგი, ამოაცალა რევოლიუციონური კბილი და სული.

დიდი რევოლიუციის ქვეყანა იქცა უდიდეს ყაჩაღების—მსოფლიო მევახშეების, ბანკირების, მრეწველ-ვაჭრების, გენერლების და სხვა მოქთახორათა საბრძანებლოთ. „ცივილიზაციის და კულტურის“ ქვეყანაში უკვალოდ აორთქლდა ხალხთა თავისუფლებისადმი სიყვარული და თანაგრძნობა. მქონებელ კლასების მუხრუჭები მაგრათ უჭერენ დიდებულ წინაპრების დიადი ანდერძის პატივისმცემელთ და მისი ასრულებისათვის მებრძოლთ—საფრანგეთის პროლეტარებს.

ის ჩამომავლობა კი, რომელიც განაგრძობს დიდებული წინაპრების სახელებით ფიცს, ნეტა რას ფიქრობს. რას აკეთებენ ყველა ეს მილიერანები, ვივიანები? აიღეთ თუგინდ მარტო გუშინდელი გაზეთები და იქ ამოიკითხავთ შემდეგს: საფრანგეთს ეშინია რუსეთ-პოლონეთს შუა ზავი არ ჩამოვარდესო, და ამიტომ უსასყიდლოთ გაუგზავნა ვრანგელს ახალი ტრანსპორტი იარაღის და ამუნიციის...

მეორე ცნობაში ვკითხულობთ: ახალი პრეზიდენტი მილიერანი დაიცავს კანონს (ბანკირ გენერლების კანონს!), დაიცავს წესრიგს (ბურჟუაზიის პოლიციის წესრიგს), წაახალისებს მრეწველობას (ე. ი. უფრო მეტ სისხლს გამოაწოვებიებს მუშებისაგან კაპიტალისტებს და ბანკირებს!) და მოუვლის საკუთრებას (ე. ი. მცველ ნაგაზათ დაუდგება ფინანსიური კაპიტალის ტახტს!) ასე ახასიათებს „სოციალისტს“ მილიერანს ამერიკის პრესაში ოტტო კონი.

ახლა დაუგდეთ ყური მესამე დეპეშას: ბავარიაში გამოაშკარავეს მონარქიული გადატრიალების გეგმები. დამტკიცებულია, რომ საფრანგეთის მთავრობამ ფინანსიური დახმარება გაუწია ბავარიის მონარქისტებს!

აი მარატის, დანტონის, რობესპიერის და კონვენტის მემკვიდრეები! იქ, სადაც 120 წლის წინათ საფრანგეთი ტახტებს ამსხვრევდა და ხალხებს ანთავისუფლებდა, ახლა ის მონარქიულ გადატრიალებას აწყობს ფულით, იარაღით, დაქირავებული გენერლების დახმარებით. სადაც ხალხს მეფეები მოუცილებია თავიდან, საფრანგეთი იქ ძვრება და მეფეებს უხმობს, მათ გვირგვინებს ცარცით ფერავს, ტახტებს დგამს მშრომელთა სისხლის ტბებში. კონვენტის „ნების ალმას რულებელნი“, ახლანდელი ბურჟუაზიული საფრანგეთი სარკასტიულად ეკითხება თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს: თქვენ მართლა მოგინდათ თავისუფლება? მაშ იცოდეთ—ომით მოვდივარ ქოხებზე მეფეების გენერლებთან ერთად, სასახლეებს ვუბრუნებ მშვიდობიან ბატონობას მშრომელებზე!

და კიდეც მიდის გაცოფებული მევახშე საფრანგეთი აჯანყებულ ხალხთა წინააღმდეგ, უსევს მათ ბარონებს და გენერლებს. ოქროს სუნი მძაფრათ აქვს ... და მშრომელთა სისხლში ალურავებს. მარატ დანტონ რობესპიერის საფრანგეთი მილიერან-კლემანსო-რენოდელების ავაზაკურ ბუნაგათ იქცა.

მარა ჯერი პროლეტარულ იაკობინელებზეა მიმდგარი უკვე. საფრანგეთის მშრომელი მასსა უკვე იმართება წელში და მემკვიდრეობის თამასუქის სისრულეში მოსაყვანათ იარაღისაკენ სწევს ხელს. მსოფლიო მევახშეების, მშრომელთა სისხლით გამძღარ კაპიტალის ავაზაკების წინააღმდეგ ბრძოლაში მას უკვე ჰყავს მრავალ მილიონიანი მოკავშირე—მესამე, კომუნისტურ ინტერნაციონალის არმიის სახით.

## პროტესტი და თხოვნა

პროფესიონალურ კავშირების ცენტრი, სიტყვიერათ პოლიტიკური ნეიტრალობის მღიარებელი, ფაქტიურათ აწარმოებს მენშევიკურ პოლიტიკას, რომელიც მთელ სახელმწიფოში ერთია დაწყებული მთავრობიდან და გათავებული კიდის საგანგებო რაზმით. პოლიტიკურმა ნეიტრალობამ მოჭამა თავისი დრო და ახლა ყველა იძულებულია ნიღაბი აიხადოს და აშკარათ აწარმოვოს ესა თუ ის პოლიტიკა. მუშათა კლასის პოლიტიკა ერთია მთელ დედამიწის ზურგზე და მას მიზნათ აქვს მშრომელი ხალხის სრული განთავისუფლება. ამიტომ არ შეიძლება, რომ ერთი ქვეყნის მუშათა პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდეს მეორე ქვეყნის მუშათა პოლიტიკას და პირიქით. მაგრამ როდესაც ერთი ქვეყნის მუშათა მესვეურები განსაზღვრულ მიზნათ ისახავენ თავისი ქვეყანა აქონ-ადიდონ და სხვა ქვეყნის მუშები კი აგინონ და ლანძღონ, ეს უკვე წმინდა წყლის პოლიტიკანობაა, რომელიც ობიექტიურათ ბურჟუაზიის მიზნებს ემსახურება. და ასეთ პოლიტიკანობის ღრმა მორევში დიდი ხანია შესტოპა საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრმა და განაგრძობს თავის სასახელო მოღვაწეობას.

უკანასკნელათ მან მსჯელობა იქონია საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ეგრეთ წოდებულ მუშათა დელეგაციის არ შეშვებაზე და როგორც მოსალოდნელი იყო, პროტესტი განაცხადა ამის გამო.—როგორ თუ არ მიშვებ შენს მიწა-წყალზე სტუმრათ და უარს ამბობ ჩემს გამასპინძლებაზე! უდროვოთ სტუმარი თუ მოსისხლე მტერზე უარესია, ძალათ სტუმარი რაღა უნდა იყოს! მაგრამ ეს არ აფრთხობს ცენტრის სულის ჩამდგმელებს და პროტესტთან ერთათ თხოვნითაც მიმართავდენ რუსეთის მუშათა კლასს: კეთილ ინებეთ და თავათ მობრძანდით ჩვენთან სტუმრათო. ერთ და იმავე წინადადებაში, სულ რაღაც ორ სტრიქონ ნახევარში ასეთი საუცხოვო თაიგულებია ჩაქსოვილი: თქვენ არ ინებეთ ჩვენი სტუმრათ მიღება, რისთვისაც ღირსი ხართ წყევისა და შეჩვენებისა, სამაგიეროთ თითონ მობრძანდით ჩვენთან სტუმრათ და სამაგალითოთ გაგიმასპინძლდებითო. პროტესტი და თხოვნა, გინება და მიალერსება—ახირებულათ გვეჩვენებოდა ეს შეხამება, რომ ახირებულ ქვეყანაში არა ვცხოვრობდეთ. რა არის ეს თუ არა პირწავარდნილი პოლიტიკანობა, რომელსაც გარეგნული რიგიანობითაც ვერ დაუფარავს თავისი სიდუხჭირე.

მაგრამ ამ შეუსაბამობას, მიუხედავათ მისი შინაგანი წინააღმდეგობისა, თავისებური ლოღიკა აქვს, რომელიც შეეფერება მის გამომწვევ საერთო ყალბ ... .

საქართველოს მესვეურნი და მათი მონა მორჩილი მუშათა ცენტრები ამ ბოლო დროს ცდილობენ აქტიურათ ჩაებან საერთაშორისო პოლიტიკაში. მათ ისტუმრეს ევროპის დელეგაცია, მათვე გამოიწვიეს სარუსეთო დელეგაცია და ახლა აქ ეპატიჟებიან თვით რუსეთის დელეგაციას. ყველა ამას ის აზრი აქვს, რომ დაუმტკიცონ ქვეყნიერებას—საქართველო კარგი ქვეყანაა თავისი პოლიტიკურ წყობილებით და ეკონომიური ცხოვრებით და ამის მსგავსათ უნდა მოეწყოს ყველა, ვისაც კი თავისთვის სიკეთე სურს. გასაგებია ეს მისწრაფება, რამდენათაც აქ თავს იჩენს ბრძოლა თავის გადასარჩენათ, არსებობისათვის ბრძოლა აბობოქრებულ ცხოვრების ორონტრიალში. მაგრამ ამით არ ამოიწურება მთელი ეს საქმიანობა. მას ობიექტიურათ სხვა მნიშვნელობა აქვს.

წვრილ-ბურჟუაზიული საქართველო ვერასოდეს ვერ გახდება სხვა ქვეყნების სარკეთ და სამაგალითო ნიმუშათ. ამ აზრით მის სანახავათ წასვლა ევროპიელისათვის უბრალო დროის დაკარგვაა და თუ იმპერიალისტური ევროპა თავის ქვეშევრდომებს აქეთ უშვებს და შესაფერ პასპორტებს ადვილათ აძლევს, უნდა ვიფიქროთ, რომ ამას ის სჩადის არა საქართველოს სიყვარულით, არამედ მხოლოდ თავისი ინტერესების გულისთვის. ევროპის დელეგაციამ ძლიერ მოიწონა ყოველმხრივ ჩამორჩენილი საქართველო და ანდერძათ დაუტოვა განაგრძე მაგ გზით სიარულიო. ბოლშევიზმის გმობა და ამავე დროს სოციალიზმის სიტყვით აღიარება აერთებდა მოსულ-დამხდურთ. მიზანი ბოლშევიკებთან საერთო, ხოლო მიზნის განსახორციელებელი გზა კი სხვადასხვა: არა პროლეტარიატის დიქტატურა, არამედ ს.-დემოკრატიზმი—აი ამაში იყვნენ სტუმარ-მასპინძლები საუცხოვოთ შეთანხმებულნი.

ეს წვრილ-ბურჟუაზიული გზა, რომელიც სოციალიზმამდე ვერასოდეს ვერ მიიყვანს და საბოლოვოთ ბურჟუაზიას დაუმორჩილებს მის მიმდევარ ქვეყანას—ძლიერ სასარგებლოა ბურჟუაზიისთვის თანამედროვე გაალმასებულ ბრძოლაში, როგორც ბანგი მოწინააღმდეგის დასაძაბუნებლათ. ამნაირათ საქართველოს მესვეურთა პოლიტიკა არსებითათ არის ბურჟუაზიის პოლიტიკა, რომელიც შეგნებულათ ძირს უთხრის ერთად-ერთ ქვეყანაში გამარჯვებულ მუშათა კლასს.

საქართველოდან რუსეთში დელეგაციის გაგზავნასაც მხოლოდ ერთად ერთი ეს მიზანი ასულდგმულებს: დაგმობა რუსეთის მუშათა კლასის ტიტანიური ბრძოლისა მთელი ქვეყნის კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ, დაგმობა პროლეტარიატის დიქტატურისა, რომლის წყალობით საბჭოთა რუსეთი ამდენ ხანს მარჯვეთ იგერიებს შინაურ და გარეშე მტრებს. რასაკვირველია, ეს დაგმობა ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენენ რუსეთის მუშებზე, მათ სიცილათ არ ეყოფოდა ქართველი პატრიოტების წვრილბურჟუაზიული სენტენციები. და რუსეთში მიმავალთაც არ ქონდათ ამ მხრით რამე იმედი. ხოლო თუ რუსეთის მუშები დიდი ხანია დაღუპულათ მიაჩნიათ, ევროპის იმპერიალისტებს ჯერ სავსებით არ დაკარგვიათ იმედი თავისი მუშებისა, რომლებიც მძიმე ხუნდებით ყავთ შებოჭილი. აი ამ მხრით თავის წვლილს შეიტანდენ ქართველი დელეგატები იმ სასახელო საქმეში, რომელსაც ბოლშევიზმთან ბრძოლა ეწოდება.

საბჭოთა რუსეთმა გაუცრუვა მათ ეს იმედები; შეძლება არ მისცა მათ წინ... ... რევოლიუციის თანხმათ ენახათ და კბილი გაეშინჯათ უშათა და გლეხთა ქვეყნისთვის. ამის გამო დელეგაციის გამომწყობნი იგინებიან და ილანძღებიან და თან ევროპიელ თანამოაზრეებთანაც ალავერდის გადადიან.

რაკი ეს ნომერი არ გადის, ისინი თავის კომპანიაში იპატიჟებენ ურჩ მასპინძლებს; ფიქრობენ: თუ მოვიდნენ, იქნება კიდეც მოვახერხოთ მათთვის თავის მოწონება და თუ არ მოვიდნენ ეს ზედმეტი საბუთი იქნება მათი სილაჩრისა: მათ არა მარტო ეშინიათ რუსეთში ჩვენი შესვლისა, არამედ ეშინიათ ჩვენთან მისვლისაც. გამოცხვება ახალი პროტესტები და ეცნობება ევროპის პროლეტარიატს.

დაანებეთ, ბატონებო, თავი ოინბაზობას. მართალია, რუსეთის მუშებს თქვენ ხელშეუხებლობას პირდებით, მარა სად სცალიათ მათ თქვენთან საქეიფოთ. ან რა მათი შესაფერია ვანდერველდ რენოდელების მასპინძლებთან სტუმრობა.

## საბჭოთა რუსეთის პრესა.

### შრომის ბეგარა და შრომის მოხალისეობა

ომისა და რევოლიუციის მიერ გამოწვეულ სახალხო მეურნეობის კოლოსალურ დაქვეითების გამო, და აგრეთვე თანამედროვე ტეხნიკური საშვალებებით მრეწველობის ისევ აღდგინა გაუმჯობესობის შეუძლებლობის გამოც, სახელმწიფო იძულებულია მოაწყოს მასიური

## ფ. ენგელსის წერილი ა. ბებელის მიმართ.

რედაქციისაგან: 60-იან წლებში გერმანიის მუშათა მოძრაობა ორი პარტიის კალაპოტში მოექცა. ერთ მიმდინარეობას, ზომიერს, უფრო პოლიტიკურს და ნაკლებათ სოციალისტურს, წარმოადგენდა ე. წ. ლასსალიანიზმი, ე. ი. ფერდინანდ ლასსალის მოძღვრების მიმდევრები, ხოლო მეორეს—ე. წ. ეიზენახელები, ე. ი. მარქსისტები (ვ. ლიბკნეხტის, ბებელის და სხ. მეთაურობით), რომლებიც შეკავშირდენ პარტიულ ყრილობაზე ქ. ეიზენახში, 1869 წ. ამ ჯგუფს რაოდენიმეთ ხელმძღვანელობას უწევდენ მარქსი და ენგელსი, რომლებიც ლონდონში ცხოვრობდენ ემიგრანტებად. 1875 წ. მოხდა ამ ორი პარტიის შეერთება ქ. გოტაში „გამაერთიანებელ სიეზდზე“, სადაც გამომუშავებულ იქნა ე. წ. „გოტას პროგრამა“, რომელსაც კომპრომისის დაღი ესვა. ეს მოხდა მარქს-ენგელსის დაუკითხავად. მარქსმა ეს პროგრამა სასტიკათ გააკრიტიკა ბრაკესადმი მიწერილ წერილში (ეს ყოველ მხრით შესანიშნავი წერილის სათაურია: „გოტას პროგრამის კრიტიკა“, ის გამოაქვეყნეს მხოლოდ 11 წლის შემდეგ). ენგელსმაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ეს პროგრამა ბებელისადმი მიმართულ წერილში. ბებელმა ეს წერილი გამოაქვეყნა მხოლოდ 36 წლის შემდეგ (!) თავის მემუარებში. ამ წერილის შინარსს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა რევოლიუციონური მარქსიზმის ძირითადი პრინციპების გასაშუქებლად.

გაზენკლევერი, ტეპლკე და გასსელმანი, რომლებსაც იხსენიებს ენგელსი, ლასსალიანელების ლიდერები იყვნენ.

---

ლონდონი, $^{18}/_{28}$ მარტს 1875 წ.

ძვირფასო ბებელ!

მივიღე თქვენი წერილი 23 თებერვალს გამოგზავნილი... მეკითხებით როგორია ჩვენი დამოკიდებულება გაერთიანების ისტორიასთან? სამწუხაროთ ამ მხრით ჩვენც ისეთივე მდგომარეობაში ვართ, როგორც თქვენ. არც ლიბკნეხტს და არც სხვა ვისმეს ერთი სიტყვაც არ მოუწერიათ ჩვენთვის ამ საქმის შესახებ. და ჩვენ ამის შესახებ ვიცით მხოლოთ ის, რაც გაზეთებში იყო ნათქვამი. იქ კი არაფერი ყოფილა, სანამ რვა დღის წინეთ არ იქნა გამოქვეყნებული პროგრამის პროექტი. უკანასკნელმა ჩვენ დიდს განცვიფრებაში ჩაგვაგდო.

ჩვენი პარტია ისე ხშირათ უწოდებდა ხელს ლასსალიანელებს შესარიგებლათ, ან, ყოველ შემთხვევაში, საერთოთ გამოსასვლელათ, და ისე ხშირათვე ღებულობდა პასუხათ ბატონ გაზენკლევერ-გასსელმან-ტეპლკეს მხრით შეურაცხმყოფელ უარს, რომ ყოველ პატარა ბავშსაც კი აქედან შემდეგი დასკვნა უნდა გამოეყვანა: თუ კი ეს ვაჟბატონები ახლა თითონ მოდიან ჩვენთან შერიგების წინადადებით, ცხადია მეტის მეტათ ცუდათ ქონებიათ მათ საქმე. მაგრამ რა კი კარგათ ვიცნობთ ამ ხალხის ხასიათს, ჩვენი მოვალეობაა ვისარგებლოთ მათი შევიწროებული მდგომარეობით და მოვაცემინოთ ყველა და ყოველგვარი შესაძლებელი გარანტიები იმის, რომ ამ ხალხს აღარ შეეძლოს მომავალში ხელახლა განამტკიცოს თავისი შერყეული მდგომარეობა მუშათა კლასის საზოგადოებრივ აზრის სამეფოში ჩვენი პარტიის ხარჯზე. მათ მოსვლას ჩვენები უკიდურესათ ცივათ და უნდობლათ უნდა შეხვედროდენ, გაერთიანება უნდა დაექვემდებარებიათ იმასთან, თუ რამდენათ მზათ არიან ისინი ხელი აიღონ თავიანთ სექტანტურ ლოზუნგებზე და თავიანთ „სახელმწიფო დახმარებაზე“, და მიიღონ ეიზენახის 1869 წლის პროგრამის ძირითადი ნაწილები, ან ამ პროგრამის ახალი შესწორებული გამოცემა თანამედროვე მომენტთან შეფარდებული. ჩვენს პარტიას ა ბ ს ო ლ ი უ ტ უ რ ა თ არაფრის სწავლა არ ესაჭიროება ლასსა

ორგანიზაცია, მობილიზაცია უყოს და ჩააბას მრეწველობაში არა კვალიფიციური (არა სპეციალისტები) მუშები. უკანასკნელ ზომების ხმარების მასშტაბი იზრდება მინერალური სათბობი მასალის წყაროების უქონლობით, რის შედეგათ გაძლიერდა ხე-ტყის დამზადება (შეშის) და სხვა. ამნაირი შრომის ბეგარას მეტწილათ ასრულებს გლეხობა.

პროლეტარიატის ზოგიერთ წრეებში რასაკვირველია, უფრო ჩამორჩენილებში, ზოგჯერ შრომის ბეგარას უარყოფით ხვდებიან. ამ უარყოფითი განწყობილებას უფრო მეტათ გლეხობა იჩენს.

გლეხობა უარყოფით უყურებს შრომის ბეგარას იმიტომ, რომ იგი ძირს უთხრას მის მეურნეობას.

ომის და რევოლიუციის დროს გლეხის მეურნეობა, რომელიც არც მანამდის იყო სახარბიელო იარაღების სიმდიდრით, ისე ღარიბდებოდა და ეცემოდა, რომ ახლა ჩვეულებრივ სამუშაოს ძლივს აწარმოებს. ამიტომ შრომის ბეგარა გლეხურ მეურნეობას მძიმე ტვირთათ აწვება. ამას გარდა, ჩვენი აპარატების მოუწყობლობა, რომლებიც ატარებს ცხოვრებაში შრომის ბეგარას, კიდევ უფრო ზრდის უკანასკნელის სიმძიმეს, ვინაიდან შრომის ბეგარის მოსახდელათ გაჰყავთ მუშები ძალების და მცხოვრებთა საშუალებების გამო უანგარიშებლათ, აგრეთვე გაყვანილ მუშების ძალებსაც ხელ მომჭირნეთ არ იყენებენ ხოლმე. გლეხი ხედავს, რომ შრომის ბეგარას მისი მეურნეობისათვის დიდი ზარალი მოაქვს, როდესაც მაგათ საქონლის გადატან-გადმოტანის დროს მას უფუჭდება საზიდი და ცხენის იარაღი ან ცხენი ,,უვარდება“.

გაიძვერა კულაკი-კი, რომელიც უწინ ახრჩობდა ღარიბ გლეხს ამაში საბჭოთა მთავრობას და კომუნისტებს დებს ბრალს, ამტყუნებს, რომ მათ კომუნისტებმა ქვეყანა გაანადგურეს და ახლა გლეხებს იძულებულს ხდიან აწარმოონ აუტანელი შრომა.

„უწინ იყო მემამულეთა ბატონობა, ახლა საბჭოების ბატონობაა“,—ამბობს კულაკი.

კულაკების აგიტაციას თუ აქვს გასავალი, ეს კიდევ იმით აიხსნება, რომ გლეხობას არ ესმის აზრი და მნიშვნელობა შრომის ბეგრისა.

ისინი უწინდებურათ უცქერიან საზოგადო-სავალდებულო შრომას, სახელდობრ, როგორც „ბეგარას“. კულაკების ასეთი აგიტაციის საწინააღმდეგოთ, რომელიც გლეხთა ჩვეულებრივი შრომის ბეგარას შეეხება და რაც გლეხების ძველი დროის აუტანელ მდგომარეობას და ცარიზმის რეჟიმს გვიხატავს, კომუნისტებმა გლეხობას უნდა აუხსნას ნამდვილი აზრი შრომის ბეგარისა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში.

შრომის ბეგრისთვის მასების იდეიური მომზადების საუკეთესო საშვალება შრომის მოხალისეობა. შრომის ბეგარა და შრომის მოხალისეობა ერთი და იმავე სისტემის რგოლებია. საზოგადო შრომის მოწყობის ამ ორ მეტოდ შორის არსებულ მოჩვენებითი წინააღმდეგობის ქვეშ იფარება განუყოფელი არსება. შრომის ბეგარა „სუბბოტნიკებით“ მზადდება. „ბეგარის“ აზრი და არსება შრომის მოხალისებაში იფურჩქნება ხოლმე. მუშათა ღრმა შეგნებამ დაისახა მოწინავე მუშების პირადი მაგალითით გაამჯობესოს შრომის ნაყოფიერება და ამ გზით იხსნას ქვეყანა მეურნეობის დაქვეითების ჯურღმულიდან. შრომა, რომელიც იხარჯება „სუბოტნიკებისგან“ პირადი ინტერესებისაკენ კი არაა მიმართული, არამედ მთელი საზოგადოების სასარგებლოთ. ამას გარდა „სუბბოტნიკების“ შრომა არის საზოგადო-კორპორატიული შრომა.

საბჭოთა სახელმწიფო მშრომელი ხალხის სისხლით და კუნთებითაა აშენებული. საბჭოთა სახელმწიფო სხვისი სახელმწიფო მუშების წინააღმდეგ მიმართული კი არაა, არამედ მუშების ორგანიზაციაა, რომელიც მუშებსავე ეხმარება. მუშა, შრომობს რა საბჭოთა სახელმწიფოს სასარგებლოთ, მაშასადამე, მუშაობს თავის თავისთვის. ამიტომ ისინი თავის ნებით უნდა მუშაობდენ. „სუბოტნიკების“ შრომა, წინამორბედია კომუნისტური საზოგადოების ნებაყოფლობითი, თავისუფალი შრომის.

„სუბოტნიკობის“ ცხოვრებაში გატარების დროს, ჩვენ უნდა ავუხსნათ ხალხს „სუბოტნიკობის“ მთელი რევოლიუციონური შინაარსი, გავაცნოთ იგი მუშებს და გლეხებს. აუცილებლად საჭიროა რევოლიუციონური ენტუზიაზმით აღვჭურვოთ მშრომელი მოხალისეები.

საზოგადოებრივი შრომის მოწყობა გლეხობაში ყველაზე უფრო რთულია. ამიტომ გლეხობაში ენერგიული აგიტაციის წარმოებაა საჭირო შრომის ბეგრის გარშემო.

გლეხს უნდა ავუხსნათ, მივახვედრინოთ საბჭოთა საზოგადო სავალდებულო შრომის „ბეგარა“ იმ უწინდელი „ბეგარის აზრის“ არაა, როდესაც გლეხს მეფისთვის ან მემამულეებისთვის ამუშავებდენ.

შრომის ბეგარა შემოღებულია ყველა მშრომელთა სასარგებლოთ, რომ ვიხსნათ ქვეყანა იმ განსაცდელისგან, რომელშიც იგი ჩავარდნილია მეფის მთავრობისა და ომის წყალობით.

გლეხებს ძველიდგანვე აქვთ საუკეთესო ჩვეულება, რომელსაც „დახმარება“, „ნდობა“ ჰქვია. იგი იმაში მდგომარეობს, რომ გლეხს ან გლეხების ჯგუფს, რომელსაც მუშაობა არ შეუძლია, სხვა გლეხები საერთო ძალით ეხმარებიან, ხელს უმართავენ. ეს მშვენიერი ჩვეულება მდიდრებმა გარყვნეს, გაათახსირეს და ის გლეხობის საყვლეფ საშვალებათ აქციეს.

ეს ჩვეულება ისევ უნდა აღვადგინოთ და ჭუჭყიანი კვალი მტაცებელ მდიდრების მისგან უნდა მოვსწმინდოთ.

რაა „სუბბოტნიკი?“—იგი—„დახმარებაა“ „ნადობაა“.

რა არის შრომის ბეგარა? ეს საბჭოთა მთავრობის მიერ მოწყობილი საზოგადო შრომაა მშრომელთავე სასარგებლოთ.

**არა ბეგარა, არამედ თვით დახმარება.**

„გლეხთა კვირის“ შემოღებაში ერთმანეთს ენასკვება შრომის ბეგარის და მშრომელ მოხალისეობის მომენტები.

საბჭოთა მთავრობა „გლეხთა კვირაში“ დიდი ძალებით ეხმარება გლეხებს. ამისათვის იგი სხვა და სხვა დარგებიდან მობილიზაციას უშვრება მუშებს და აგზავნის სოფლათ.

ამავე დროს მუშები თავის წრიდან გამოყოფენ ხოლმე მოხალისეებს და აგზავნიან გლეხების მიწებზე სამუშაოთ. აქ „დახმარების“ ორივე სახე: საზოგადო—აუცილებელი შრომა და შრომის ბეგარა.

ეს „დახმარება“ გლეხთა მეურნეობის სასარგებლოთაა მიმართული.

„გლეხთა კვირა“—ეს სრულიად რუსეთის მუშების მხრით „დახმარებაა“ გლეხებისათვის.

ვ. კურაევი.

„პრავდა“ № 167.

**პროლეტარიატმა უნდა გაიმარჯვოს კაპიტალზე! რომ გაიმარჯვოს საჭიროა ძლიერი იყოს, რომ ძლიერი იყოს, საჭიროა შეკავშირებული იყოს. მე-3 ინტერნაციონალი მსოფლიო პროლეტარიატის ორგანიზაციის ცენტრია!**

# ინტერნაციონალის გარშემო

**კომუნისტური ინტერნაციონალის მე 2 კონგრესი მოსკოვში.**

(გაგრძელება იხ. „ახ. კომ.“ № 55)

**მეშვიდე სხდომა** (29 ივლისს საღამოს)

საღამოს სხდომა იწყება.

**ამხ. მილკიჩის**

გამოსვლით, რომელიც ამბობს იმის შესახებ, რომ ამხ. ზინოვიევის მიერ გაკეთებული სამხრეთ—სლავიის პარტიის პროგრამის და ტაქტიკის ანალიზი სწორია იმდენათ, რამდენათაც ის წარსულს ეკუთვნის. ახლა ჩვენი პარტია წმინდა კომუნისტურია და არაფერი საერთო არ აქვს ოპორტიუნიზმთან. ჩვენთან არიან კიდევ ცალკე პიროვნებები, რომლებიც გამოდიან რეფორმისტულათ და ოპორტიუნისტულათ, მაგრამ პარტია, როგორც მთელი, ენერგიულად ებრძვის ამ ელემენტებს, რომლებიც ყოველ კომუნისტურ პარტიაში არიან და თითქმის ბალშევიკების პარტიაშიაც. ამხ. მილკიჩს მოყავს ფაქტების მთელი რიგი იმ საბუთებიდან, რომლებიც დამამტკიცებელია სამხრეთ-სლავიის პარტიის მიერ გატარებულ ჭეშმარიტ კომუნისტურ ხაზის.

ის ამბობს, რომ პარტია თავისი ლეგალური და არა-ლეგალური მოქმედებით მიისწრაფვის საბჭოთა ძალა-უფლების განსახორციელებლად, მოუწოდებს მასებს საბჭოების დასაარსებლად; და რომ მთელი რიგი ამ პარტიის პასუხისმგებელ მოღვაწეთა, მათი რიცხვი ერთი ცენტრალური კომიტეტის წევრი, სამხედრო სასამართლოშია მიცემული თავისი მოქმედებისათვის.

**ამხ. ბომბაჩი**

ფიქრობს, რომ არსებითად კონგრესზე დასმულ საკითხის შესახებ არავითარი დავა არ შეიძლება იყოს. არა-კომუნისტურ პარტიების ჩარიცხვა კომუნისტურ ინტერნაციონალში, ეს იგივეა, რომ მთელი მე-2 ინტერნაციონალი ჩავრიცხოთ მე-3 ინტერნაციონალის შემადგენლობაში. მე 2 ინტერნაციონალის და მისი ცალკე ორგანიზაციების პრინციპიალური პოზიცია სავსებით ნათელია იმდენათ, რამდენათაც ის გამოირკვა მისი არსებობის 30 წლის განმავლობაში. ეხება რა კერძოთ იტალიის სოციალისტურ პარტიას, ამხ. ბომბაში ამტკიცებს, რომ მისი ბელადების შემადგენლობის 70 პროც. რეფორმისტებია. პრინციპიალურად ამიტომ თითქმის ლაპარაკიც არ უნდა იყოს მესამე ინტერნაციონალის შემადგენლობაში არა მარტო გერმანიის დამოუკიდებელი, არამედ საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის მიღებაზედაც. ხოლო თუ კი ეს ტაქტიკური მოსაზრებით აუცილებელია, მაშინ ერთად ერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან არის ჩასარიცხავ პარტიების ყველა წევრების ხელახალი რეგისტრაცია, იმ მუდმივი ხელახალი რეგისტრაციის მსგავსათ, რომელიც შევიდა რუსეთის კომუნისტურ პარტიის სისტემაში. საერთოდ კი საჭიროა ხელახალი რეგისტრაციის პირობების დაცვის დროსაც კი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მივმართოთ აშკარა უცხო ელემენტების კომინისტურ ოჯახში ჩარიცხვის ამ მეთოდს.

**ამხ. პოლიანო, მაიერი და ვეინკოპპიც**

აგრეთვე მეტის მეტად კატეგორიულათ წინააღმდეგი არიან დამოუკიდებელი პარტიის მესამე ინტერნაციონალში მიღების.

**ამხ. ლოზოვსკიც**

წინააღმდეგია აგრეთვე მიღებულ იქნენ მესამე ინტერნაციონალში ყველა ის პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებსაც არ წარმოუდგენიათ საბუთები, თუ როგორ და რა პლატფორმაზე სურთ მათ გაერთიანება. ამხ. ლოზოვსკი იხსენებს რუსეთის მენშევიკების როლს ოქტომბრის რევოლიუციის დასაწყისში, რომლებიც გვირჩევდენ მუშების განიარაღებას და კაზაკების შეშვებას პეტროგრადში სიტყვიერი გარანტიით, რომ არ იქნებოდა დაშვებული მუშების მას-

ლიანელთაგან თეორიის სფეროში, ე. ი. იმ სფეროში, რომელსაც გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს პროგრამისათვის; პირიქით, ლასსალიანელებს არ აწყენდათ ცოტა რამ შეესწავლათ მისგან; გაერთიანების პირველი პირობა მდგომარეობდა იმაში, რომ მათ უარეყოთ სექტანტობა-ლასსალიანელობა, რათა ამ რიგათ მათ პირველ ყოვლისა სავსებით თუ არ უკუეგდოთ თავისი პანაცეა-სახელმწიფო დახმარება, ყოველ შემთხვევაში აღიარებიათ ის გარდამავალ დამოუკიდებელ ზომათ სხვა მრავალ ღონისძიებათა შორის და მათთან ერთად პროგრამის პროექტი მოწმობს, რომ ჩვენები თეორეტიულათ ასჯერ უფრო მაღლა დგანან ლასსალიანელთა ბელადებთან შედარებით, ხოლო ამდენათვე ჩამორჩენილან მათგან პოლიტიკურ გამოცდილებაში, და „პატიოსნები“ კვლავ უწყალოთ ჩაიტყუილეს მახეში უპატიოსნებმა (и „честные“ снова были жестоко околпачены нечестными).

პირველ ყოვლისა, პროგრამის პროექტი ითვისებს მაღალფარდოვან, მარა ისტორიულათ ყალბ ლასსალიანურ ფრაზას: „მუშათა კლასის მიმართ ყველა დანარჩენი კლასები ერთ მთლიან რეაქციონურ მასსას წარმოადგენენ.“ ეს დებულება სწორია მხოლოდ ცალკე განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად პროლეტარულ რევოლიუციის დროს, როგორიც იყო კომმუნა, ან და ისეთ ქვეყანაში, სადაც არა მარტო ბურჟუაზიას შეუქმნია სახელმწიფო და საზოგადოება მზგავსათ თავისი სახისა და ხატებისა, არამედ მის შემდეგ დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიასაც მიუყვანია ეს გარდაქმნა თვით უკიდურეს ლოღიკურ დასკვნამდის. მაგალითათ გერმანიაში ეს დემოკრატიული წვრილი ბურჟუაზია ამ რეაქციონურ მასსას რო ეკუთნოდეს, როგორ შესძლო ამ შემთხვევაში სოციალდემოკრატიულ პარტიამ მთელი წლეების განმავლობაში ხელი-ხელ ჩაკიდებული ევლოთ მასთან, სახალხო პარტიასთან? როგორ შეუძლია „სახალხო სახელმწიფოს“*) ისესხოს თითქოს მთელი თავისი პოლიტიკური შინაარსი წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიულ „ფრანკფურტის გაზეთი“-დან? და როგორ შეიქნა შესაძლებელი თვით ამ პროგრამაში შეტანა არა ნაკლებ შვიდი მოთხოვნის, რომელიც პირდაპირ და სიტყვა-სიტყვით იგივეა, რაც სახალხო პარტიის და წვრილ ბურჟუაზიულ დემოკრატების პროგრამა? მე სახეში მაქვს შვიდი პოლიტიკური მოთხოვნათა მუხლი, 1—5 და 1—2, რომელთა შორის არც ერთი არ არის ისეთი, რომელიც არ იყოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული.

მეორეთ,—აწმყო დროისთვის პრაქტიკულათ სავსებით უარყოფილია მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალობის პრინციპი, და ამას სჩადიან ის ადამიანები, რომელნიც ხუთი წლის განმავლობაში და უკიდურესათ საძნელო პირობებში უბრწყინვალესათ ახორციელებდენ ამ პრინციპს!

ნემეც მუშების მოწინავეობა ევროპის მოძრაობაში უმთავრესათ აიხსნება მათი წმინდა ინტერნაციონალისტურ ყოფაქცევით, ომის დროს. ასე კარგათ არც ერთ სხვა პროლეტარიატს არ დაუჭერია თავი. და აი, ახლა მათ უნდა უკუაგდონ ეს პრინციპი სწორეთ იმ მომენტში, როცა საზღვარგარეთ ყველგან მუშები ხაზს უსვამენ მას იმდენათვე, რამდენათაც მთავრობები მიისწრაფიან გასრისონ ყოველი ცდა მისი განხორციელებისა რომელიმე ორგანიზაციაში! და რაღა რჩება მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალიზმისგან? მკრთალი იმედი, და ისიც არა მომავალში ევროპის მუშების საერთო მოქმედებისა საკუთარი განთავისუფლების მიზნით, არამედ მომავალ „ხალხთა ინტერნაც. ძმობის“,—მშვიდობიანობის ლიგის ბურჟუების სატრფიალო „ევროპის შეერთებულ შტატებისა“.

*) გაზ. „ფოლკსტაატ“, მაშინდელი ცენტრ. ორგანო დ. ს. პარტიის. მთ.

რა თქმა უნდა, სრულებით არ იყო საჭირო „ინტერნაციონალიზმზე“, როგორც ასეთზე, საუბრის გამართვა, მარა ყოველ შემთხვევაში, ყოველ პირობის გარეშე სავალდებულო იყო არც ერთი ნაბიჯით არ დაეხიათ უკან 1869 წლის პროგრამიდან და ეთქვათ:

თუმცა ნემეც-მუშების პარტია უახლობელესათ მოქმედობს მის წინ ამართულ სახელმწიფოებრივ საზღვრების შიგნით (მას უფლება არა აქვს ევროპის პროლეტარიატის სახელით ილაპარაკოს, ნამეტნავ კი რაიმე ყალბი განცხადებებით გამოვიდეს), მარა მას მაინც შეგნებული აქვს თავისი სოლიდარობა ყველა ქვეყნების მუშებთან და როგორც აქამდის, ისე შემდეგშიაც ყოველთვის შეასრულებს ყველა იმ ვალდებულებებს, რასაც აკისრებს მას ეს სოლიდარობა. ასეთი ვალდებულებები არსებობს აგრეთვე უმისოთაც—პირდაპირ აცხადებენ და ცნობენ თუ არა თავის კუთვნილებას „ინტერნაციონალისადმი“,—მაგალითად დახმარება და შტრეიკბრეხერობის უარყოფა გაფიცვების დროს, ზრუნვა პარტიული ორგანოების მიერ ნემეც მუშებისათვის საზღვარ-გარეთ მოძრაობის შესახებ ცნობების მიწოდებაზე, აგიტაცია მოსალოდნელ ან უკვე ამტყდარ დინასტიურ ომების წინააღმდეგ, მოქმედების ხაზი ასეთი კონფლიქტების დროს, როგორც მაგალითად საუცხოვოთ გატარებული იქმნა 1870—71 წ.წ. და სხ...

მესამეთ,—ჩვენმა ამხანაგებმა დაუშვეს, რომ მათთვის მოეხვიათ თავზე ლასსალის „რკინის კანონი სამუშაო ხელფასისა“, რომელიც დამყარებული იყო სავსებით მოძველებულ ეკონომიურ შეხედულობაზე, სახელდობ—ვითომ მუშა საშუალოთ ღებულობს მხოლოდ მინიმუმს სამუშაო ქირისას და ეს იმიტომ, რომ თანახმათ მალტუსის მოძღვრებისა მოსახლეობაზე მუდამ იშოვება მრავლის მრავალი მუშა ხელი (ასეთი იყო ლასსალის დასაბუთება). მაგრამ მარქსმა „კაპიტალ“ში შეურყევლათ დაამტკიცა, რომ ის კანონები, რომლებიც განაგებენ (регулируют) სამუშაო ხელფასს, მეტათ რთული კანონებია, რომ ამა თუ იმ პირობების მიხედვით ხან ერთი მათგანი სძლევს დანარჩენებს, ხან მეორე; რომ ამის გამო ეს კანონები სულაც არ არიან რკინისებური, არამედ პირიქით მეტისმეტათ ელასტიური, და რომ შეუძლებელია ამ საკითხის გადაჭრა ორიოდე სიტყვით, როგორც ეს ლასსალს ქონდა წარმოდგენილი. მალტუსის მიერ ამ კანონის დასაბუთება, რაიც ლასსალმა გადმოიწერა მისგან და რიკარდო-საგან (თანაც დაამახინჯა), და როგორც ის მოყვანილია მის მეორე ბროშურაში, „მუშების საკითხავ წიგნი“-ს მეხუთე გვერდზე, მარქსმა დაწვრილებით გააბათილა თავის შრომის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება კაპიტალის „დაგროვების პროცესს“. ამ რიგათ ლასსალის „რკინის კანონის“ მიღება დაკავშირებულია ყალბ დებულების და მის ყალბათ დასაბუთების აღიარებასთან.

მეოთხე,—პროგრამაში წამოყენებულია როგორც ერთათერთი სოციალური მოთხოვნა ლასსალის სახელმწიფო დახმარება მის სულ მთლათ გაშიშვლებული სახით, რა სახითაც ლასსალმა მოპარა ის ბიუშე-ს. და ეს მას შემდეგ რაც ბრაკე-მ საუცხოვოთ დაამტკიცა ამ მოთხოვნის მთელი უშინაარსობა და გამოუსადეგრობა (всю никчемность); მას მერე, რაც თითქმის ყველა თუ სულ ყველა არა, ორატორები ჩვენი პარტიის იძულებული ხდებოდენ ხოლმე გალაშქრათ ამ ,,სახელმწიფო დახმარების“ წინააღმდეგ! ჩვენი პარტიის მხრით შეუძლებელი იყო მეტი თავდაბლობის და უწყინარობის გამოჩენა. ინტერნაციონალიზმი, დაცემული ამანდ გიოგ-ის დონემდე! სოციალიზმი, დაშვებული ბურჟუაზიულ რესპუბლიკანელ ბიუშე-ს დონემდე, იმ ბიუშესი, რომელმაც ეს მოთხოვნა წამოაყენა წინააღმდეგ სოციალისტებისა და მათთან ბრძოლის მიზნით!

მაგრამ საუკეთესო შემთხვევაში ლასსალისებური „სახელმწიფო დახმარება“ წარმოადგენს მხოლოთ ცალკე ღონისძიებას სხვა მრავალთა შორის იმ მიზნის მისაღწევათ, რომელიც აქ აღნიშნულია უფერული სიტყვებით: „რათა გზა გავუკაფოთ სოციალური საკითხის გადაწყვეტასო“, თითქოს ჩვენთვის არსებობდეს კიდევ რაღაც თეორეტიულათ ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილი სოციალური საკითხი! ამიტომ, ჩვენ რომ ვთქვათ: ნემცების მუშათა პარტია მიილტვის დაქირავებულ შრომის მოსპობისაკენ—და მაშასადამე, კლასიურ განსხვავებათა მოსპობისაკენ,—მრეწველობაში და მიწათმოქმედებაში კოლექტიური წარმოების დამყარების საშუალებით და ნაციონალურ მაშტაბით ის იცავს თითეულ ზომას, რომელსაც კი შეუძლია ამ მიზნის მიღწევის გაადვილება, ამის წინააღმდეგ ვერც ერთი ლასსალიანელი ვერას იტყოდა.

მეხუთე,—ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები ორგანიზაცია მუშათა კლასის, როგორც კლასის, პროფესიონალური კავშირების დახმარებით. და ეს კი არსებითი პუნქტია, ვინაიდან პროფესიონალური კავშირები წარმოადგენენ პროლეტარიატის სპეციფიურ კლასობრივ ორგანიზაციას, რომელშიაც ის აწარმოებს თავის ყოველდღიურ ბრძოლას კაპიტალთან, რომელშიაც ის იძენს სწავლა-გამოცდილებას (проходит выучку), და რომლის საბოლოოთ ძლევა ახლანდელ დროში არ ძალუძს თვით უმროტეს რეაქციას (როგორიც ამ ჟამათ პარიჟშია). იმ დიდმნიშვნელობის მიხედვით, რომელსაც მიაღწია ამ ორგანიზაციამ გერმანიაშიაც, ჩვენის აზრით ყოველ პირობის გარეშე აუცილებელი იყო მისი მოხსენიება პროგრამაში და რამდენათაც შესაძლებელია, მისთვის სათანადო ადგილის მიჩენა პარტიულ ორგანიზაციაში.

აი რა ჩაიდინეს ჩვენებმა ლასსალია-

სიური ქლეტა. ცენტრის ელემენტებს,— ამბობს ამხ. ლოზოვსკი,—შეუძლიათ არა ერთხელ კიდევ გაუწიონ მესამე ინტერნაციონალს ასეთივე სამსახური ყველა იმ ქვეყნებში, სადაც რევოლიუცია ჩვენი ოქტომბრის მდგომარეობაში გახდება.

შემდეგ სიტყვა ეძლევა გერმანიის დამოუკიდებელ პარტიის დელეგატებს, ამხ. კრისპინს და დიტმანს.

### ამხ. კრისპინი

კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მე-3 ინტერნაციონალის წევრები, როგორც ჩანს, საკმარისად კარგად ყოფილან გაცნობილი იმის შესახებ, თუ რა ხდება გერმანიაში, ის ლაპარაკობს იმ მეტისმეტად ძნელ ამოცანაზე, რომელიც დაისვა გერმანიის სოციალისტების წინაშე, როდესაც ომი გამოცხადდა. სამხედრო დიქტატურის პირობები, უზარმაზარი ლეგალური აპარატი (ლეგალური პარტიის 1 მილიონი წევრი და პროფკავშირების 2 ნახ. მილიონი წევრი),—ეს ისეთი ვებერთელა ძალაა, რომელთანაც მტკიცე რწმენის სოციალისტები ბელადების მცირე ჯგუფი დიდი სიძნელით იმუშავებდა პოლიტიკურ ხაზს. ეს ხაზი ომის დაწყებისთანავე გამოიხატა აუცილებლობით მხოლოდ მეტად უმნიშვნელო არალეგალურ ლიტერატურაში.

თავის შემდეგ სიტყვაში ამხ. კრისპინი ცდილობს ანალიზი გაუკეთოს იმ ბრალდებებს, რომლებიც წამოაყენეს ზოგიერთმა გერმანიის დამოუკიდებელ პარტიის წინააღმდეგ. ის ამბობს, რომ პარტიამ რასაკვირველია, ბევრი შეცდომები ჩაიდინა, მაგრამ მისი ბელადები მოქმედობენ არა მასსების გავლენით და ძალებით, არამედ თავისი საკუთარი რწმენით. მასსები ირჩევენ ამ ბელადებს იმიტომ, რომ ისინი ენდობიან მათ, იმიტომ, რომ ისინი იცნობენ მათ, იცნობენ არა მარტო მათი სიტყვებით, არამედ მათი საქმეებითაც.

დამოუკიდებელ პარტიის შემადგენლობა პროლეტარულია და არა წვრილ ბურჟუაზიული, როგორც შეიდამანელების. ჩვენ თვითონ გვესმის,—ამბობს ამხ. კრისპინი,—რომ რასკოლი აუცილებელია, რომ ჩვენს შორის არიან ელემენტები, რომლებიც არ უნდა იყვენ ჩვენთან, მაგრამ რასკოლი მწარე აუცილებლობაა და ამ აუცილებლობის განხორციელება შეიძლება მხოლოთ უდიდესი სიფრთხილით. უნდა გვახსოვდეს, რომ რევოლიუციონური ელემენტები გერმანიაში ახლაც კიდევ არიან დანაწილებული 4 პარტიათ: დამოუკიდებლების, სპარტაკელების, მუშათა კომუნისტურ პარტია და კიდევ ერთი პარტია ანარქისტული ტენდენციებით.

დაბოლოს ამხ. კრისპინი გამოსთქვამს რწმენას, რომ კონგრესი დადგება გულწრფელ რევოლიუციონურ ელემენტების გაერთიანების თვალთსაზრისზე, წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლიუცია გერმანიაში დადგება ახალ და ძალიან სერიოზული დაბრკოლებების პირისპირ. ხოლო როგორიც არ უნდა იყოს თქვენი გადაწყვეტილება,—ათავებს ამხ. კრისპინი,—ჩვენ წავალთ ამ კონგრესიდან დიდი ღრმა რწმენით იმაში, რომ ჩვენ ვართ ამხანაგები, როგორათაც არ უნდა უყურებდეთ ერთმანეთს. რასაკვირველია მილიონი მუშები, რომლებიც შედიან გერმანიის დამოუკიდებელ პარტიის შემადგენლობაში, არ შეიძლება უფლებააყრილი იყვნენ საერთაშორისო მოქმედებაზე და საერთაშორისო კავშირზე. თუ კონგრესი არ მიგვიღებს ჩვენ მესამე ინტერნაციონალის შემადგენლობაში,—ჩვენ იძულებული ვიქნებით მოვაწყოთ ჩვენი საკუთარი საერთაშორისო ორგანიზაცია.

### ამხ. დიტმანი

დაწვრილებით არკვევს გერმანიის დამოუკიდებლების პარტიის როლს იმ ურთიერთობებში, რომლებიც დაწესდა რევოლიუციის პირველ დღიდანვე რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის და რესპუბლიკანურ გერმანიას შორის.

ის ამბობს, რომ ჰააზემ თავის საუბარში ამხ. რადეკთან უკანასკნელის მიერ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახელით მოცემულ წინადადებაზე პურით დატვირთულ ორი მატარებლის დახმარების შესახებ მაშინავე განაცხადა, რომ ის ხედავს ამაში, უწინარეს ყოვლისა, პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის სიმბოლოს, ერთი მხრით ამ თვალსაზრისითაც აიხსნება ჰააზეს ქცევის შემდეგი ხაზი, როდესაც მან ვარი სთქვა პურის მიღებაზე დამშეულ რუს მუშებისაგან, ჰქონდა რა შეძლება მიელო კაპიტალისტურ შეერთებულ შტატებისაგან.

ამხ. რადეკის გადასახლება გადაწყვეტილ იქნა ჯერ კიდევ მანამდის, სანამ დამოუკიდებლები შევიდოდენ მთავრობის შემადგენლობაში; მათ მაშინვე მოითხოვეს მისი დაბურნება, მაგრამ ნაყოფიერ შედეგს ვერ მიაღწიეს.

ამხ. რადეკის დატუსაღება მოხდა, უმთავრესად, მთავრობის მემარჯვენე სოციალისტური ნაწილის მუქარით, რომელიც ეყრდნობოდა ინგლისელებთან და ფრანგებთან დროებითი ზავის შეწყვეტის შესაძლებლობაზე.

რაც შეეხება დამოუკიდებელ პარტიის ქცევას უკანასკნელ ხანებში, საკმარისია აღვნიშნოთ ის უზარმაზარი დემონსტრაციები, რომლებიც ჩატარდა ბერლინში ლოზუნგებით: „შორს ხელები საბჭოთა რუსეთისაგან“.

ამხ. დიტმანი ამტკიცებს, რომ დამოუკიდებლები ყოველთვის გრძნობდენ რუსეთის პროლეტარიატთან და რუსეთის რევოლიუციასთან თავის სოლიდარობის მოვალეობას. პარტიის ცალკე წევრების ცალკე გამოსვლები, შეიძლება სახელს უტეხდეს პარტიას, მაგრამ მისი სულიერი განწყობილება, მისი საერთო პოლიტიკური ხაზის შეცვლა სწორეთ ისე, როგორც მათი მიფუჩეჩება, მათ არ შეუძლიათ. ახლა, როდესაც ბურჟუაზიასთან და მემარჯვენე სოციალისტებთან ბრძოლა უკვე ძალიან მძიმე ხდება, აუცილებელია, რომ პროლეტარიატი იყოს მჭიდროთ შეკავშირებული საერთაშორისო მასტაბში.

საღამოს სხდომა იხურება ღამის 1 ნახ. საათზე.

(შემდეგი იქნება)

## ბიულეტენი პრესბიუროსი

რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

### სასურსათო პოლიტიკა

**მოსკოვი**, 28 სექტ. სრ. რ. ც. ალ. კ. სხდომაზე ამხ. ბრიუხანოვის მიერ გაკეთებულ მოხსენების გამო, „ეკონომიური ცხოვრება“ სწერს:

მიუხედავათ არსებულ სასოფლო-მეურნეობის კრიზისისა, მიუხედავათ ყველა არა ხელსაყრელ ბუნებრივ პირობათა ამ წელში,—საბჭოთა რესპუბლიკის სასურსათო ბაზა საკმაოთ ძლიერია. სასურსათო ორგანოების მუშაობა საკმაოთ ნაყოფიერია და სათადარიგო სურსათი, რომლითაც ჩვენ შევდივართ ამ წლის კამპანიაში, გაცილებით მეტია, ვიდრე წინანდელ წლებში იყო. მომავალ წელში სასოფლო-მეურნეობის ნაყოფიერება არა თუ შემცირდება, წინააღმდეგ, უფრო გაფართოვდება მიუხედავათ ზოგი ალაგების მოუსავლობისა, და გაფართოვდება მხოლოდ სასურსათო ორგანოების წყალობით და რიგიანი ნაყოფიერი მუშაობით. ამ ჟამათ თავი და ბოლო ყოველივე დაწყებული საქმის შესრულებაა რყევას და დაგვიანებას ადგილი არ უნდა ექნეს. დაგროვება დამზადების საჭიროება რომელიც ნარკომპროდმა გამოაცხადა სამხედრო ბრძანებაა, რომელიც სიტყვის შეუბრუნებლათ უნდა იქნეს ასრულებული.“

ამავე საკითხზე „პრავდაში“ ამხ. ოსინსკი სწერს:

„ტულის გუბერნიაში „სასურსათო რეკორდს“ მიაღწიეს. სასურსათო სამი კვირის განმავლობაში იქ დააგროვეს მილიონზე მეტი ფუთი პური და ნახევარი მილიონი კარტოფილი. ტულის „სამკვირიანი“, რომელიც ასე ბრწყინვალეთ მიმდინარეობს, უეჭველათ გაგრძელდება. ტულის გუბერნიის სასურსათო მუშები ემზადებიან მეორე რეკორდისთვის. ისინი აპირებენ ოქტომბერში მთელი მუშაობის დათავებას. მაშინ შესაძლებელი გახდება ტულის მუშების მთელი რიგი მოხსნან აქ და გადაიყვანონ ციმბირში, ყუბანში და რუსეთის უფრო ჩამორჩენილ ოლქებში სამუშაოთ.

## უკანასკნელი ცნობები

29 სექტემბერი.

**სამხ. ოპერატ. რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოენსავეტის“ საველე შტაბისა.**

### დასავლეთის ფრონტი

ლიდსკის რაიონში, მოწინააღმდეგესთან ბრძოლის შემდეგ, რომელიც ლიტვის ტერიტორიიდან შემოიჭრენ, ჩვენი ჯარები გადმოყვანილ იქნა ახალ პოზიციებზე.

სადგურ ლებედის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა კვლავ სასტიკათ დაამარცხეს შემოტევაზე გადმოსული მტრის ძლიერი კალონა (რაზმი). ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელთ ვიგდეთ ყტვიისმფრქვეველები.

სლონიმის რაიონში სწარმოებს ბრძოლები მდ. შარის ხაზზე.

ჩვენს ნაწილებს უკავია მდ. სლუჩის აღმოსავლეთ ნაპირების პოზიციები.

### სამხრეთ დასავლეთ ფრონტი.

მტერმა ბრძოლის შემდეგ დაიკავა ქ. სტაროკონსტანტინოვი. ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს პროსკუროვის აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით რამოდენიმე სოფელი. ბრძოლა სწარმოებს ქ. პროსკუროვის აღმოსავლეთით ორ ვერსით.

ჩვენ მოვიგერიეთ მტრის შემოტევა ზინკოვეცის ჩრდილო დასავლეთით.

კამენეც-პოდოლსკის რაიონში გრძელდება ბრძოლები.

### ყირიმის ფრონტი.

ალექსანდროვსკ-სინელნიკოვოს რკინის გზის ხაზის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა კვლავ გაიმარჯვეს და რკინის გზის გასწვრივ წაიწიეს წინ სამხრეთისაკენ.

იუზოვსკის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა შეაჩერეს მოწინააღმდეგის ცხენოსან ჯარის შემოტევა.

მარიუპოლის რაიონში სწარმოებს მკაცრი ბრძოლები ვოლნოვახის და მარიუპოლის სადგურებთან.

### იტალიის ამბები.

**გენუია**, 15 სექტემბერი. იტალიის მუშებმა გენუიაში ხელში ჩაიგდეს „მოხალისითა“ გემი და აღმართეს მასზე იტალიის დროშის გვერდით წითელი დროშა. საბჭოთა მთავრობამ ნავთსადგურის მუშათა ფედერაციას ნება მისცა ისარგებლოს ამ გემით. გემი ამერიკაში გაემგზავრა. ამას გარდა, ფედერაციას კიდევ აქვს რამოდენიმე გემი, რომელიც მიიღო იტალიის მთავრობისაგან.

### არეულობა ესტონიაში.

**მოსკოვი**, 20 სექტემბერი. კოპენგაგენიდან მიღებული ცნობებით ესტონიაში ბურჟუაზიული რეჟიმის წინააღმდეგ განუწყვეტელი მღელვარე დემონსტრაციებია. დემონსტრანტები ცდილობდენ დამფუძნებელი კრება გაერეკათ. შეიჭრენ შინაგან საქმეთა სამინისტროში და კომუნისტების განთავისუფლებას მოითხოვდენ.

### ბესარაბიის ამბები.

**მოსკოვი**, 10 სექტემბერი. კიშინიოვში, ბესარაბიის 15 სოციალისტის დატუსაღების გამო გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. ყველა მუშები ქუჩებში გამოვიდენ და მანიფესტაციები მოაწყვეს. მთავრობამ ჯარი გამოიყვანა, რომელმაც მანიფესტანტებს სროლა აუტეხა. შეტაკებაში ბევრი მოკლეს და დაჭრეს. ყველა ფაბრიკები დადგა, დადგა ტრამვაიც და ელექტრონის სადგურიც.

---

ელთა სასიამოვნოთ. ამათმა კი რა დათმეს? მხოლოდ ის, რომ პროგრამაში წამოჭიმულია მთელი ხროვა საკმაოთ აუნდოვან წ მ ი ნ დ ა-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ მ ო თ ხ ო ვ ნ ე ბ ა თ ა, რომელთაგან ზოგიერთი მოდის საგანს შეადგენს, როგორც მაგალითათ „პირდაპირი უშუამავლო ხალხო კანონმდებლობა,“ რომელიც არსებობს შვეიცარიაში და რომელსაც უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვინემ სარგებლობა, თუ კი საერთოთ მას შეუძლია რაიმე გავლენის მოხდენა. უშუამავლო ხალხურ მ ა რ თ ვ ა-გ ა მ გ ე ო ბ ა ს კიდევ ექნებოდა რაიმე აზრი.

აგრეთვე არ ჩანს ძირითადი პირობა ყოველგვარი თავისუფლების, სახელდობ ყველა მოხელეების პასუხისმგებლობა ყველა თავიანთ მოქმედების გამო სამსახურის დროს თითეულ მოქალაქეს მიმართ საერთო სასამართლოების წინაშე და ჩვეულებრივი კანონების მიხედვით. და მე არ მსურს სიტყვა გავაგრძელო იმაზე, რომ ასეთი მოთხოვნები, როგორც მეცნიერების თავისუფლება, თავისუფლება სინდისისა წამოჭიმულია ყველა ბურჟუაზიულ პროგრამებში, და აქ კი ყურს ეუცხოვებიან.

თავისუფალი ხალხური სახელმწიფო გადაიქცა თავისუფალ სახელმწიფოთ. გრამატიკული მხრით თავისუფალი სახელმწიფოა ის, სადაც სახელმწიფო თავისუფალია თავის მოქალაქეთა მიმართ, ე. ი. სახელმწიფო დესპოტიური მმართველობით, თავი უნდა დავანებოთ ყოველგვარ ლაპარაკს სახელმწიფოზე, განსაკუთრებით კომუნას შემდეგ, რომელიც უკვე აღარ იყო სახელმწიფო ნამდვილი მნიშვნელობით.

„ხალხურ სახელმწიფოს“ პირში გვაჩრიდენ და თავს გვაბეზრებდენ ანარქისტები, თუმცა უკვე მარქსის თხზულებაში პრუდონის წინააღმდეგ და შემდეგ „კომუნისტურ მანიფესტში“ პირდაპირ ნათქვამია, რომ სოციალისტურ. საზოგადოებრივ წესწყობილების დამყარებასთან ერთად სახელმწიფო თავის თავალ ისპობა და ქრება. და რადგანაც სახელმწიფო მხოლოდ გარდამავალი დაწესებულებაა, რომლითაც სარგებლობენ ბრძოლაში, რევოლიუციის დროს მოწინააღმდეგეთა დასაძლევათ, ამიტომ თავიდან ბოლომდე უაზრობაა ყველა მითქმა მოთქმა (все толки) თავისუფალ ხალხურ სახელმწიფოზე: რამდენათაც პროლეტარიატი ჯერ კიდევ ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ს სახელმწიფოთი, ის სჩადის ამას არა თავისუფლების ინტერესებისათვის, არამედ თავისი მოწინააღმდეგეთა გასასრესათ, ხოლო როცა კი შესაძლებელი გახდება თავისუფლებაზე სიტყვის ჩამოგდება, სახელმწიფო, როგორც ასეთი, უკვე სწყვეტს არსებობას (перестаеть существовать). ამიტომ ჩვენ წინადადებას შემოვიტანდით ყველგან ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს (Staat) მაგიერ ჩასმულ იქნეს „კოლექტივი“ (коллективность, Gemeinwesen)-მშვენიერი ძველ ნემეცური სიტყვა, რომლის შემწეობით საუცხოვოთ გადმოიცემის ფრანგული სიტყვა „კომუნა“.

„მოშორება ყოველგვარ სოციალურ და პოლიტიკურ უთანასწორობის“,—ესეც ძლიერ საეჭვო ფრაზაა, ნაცვლად „ყველა კლასობრივ განსხვავებათა მოსპობის“ მაგიერ. ცალკე ქვეყნებსა, ოლქებსა და თვით ცალკე ადგილებს შორისაც მუდამ იქნება გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი უთანასწორობა საცხოვრებელ პირობებში, რომლის მინიმუმამდის შემცირება შესაძლებელია, სავსებით მოსპობა კი არა. მთიელები ყოველთვის იცხოვრებენ რამოდენიმეთ განსხვავებულ პირობებში ბარის მცხოვრებლებთან შედარებით. სოციალისტური საზოგადოების წარმოდგენა, როგორც თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს სამეფოსი—ეს ცალმხრივი ფრანგული წარმოდგენაა, დამყარებული ძველის-ძველ „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“-ზე, წარმოდგენა, რომელსაც, რ ო გ ო რ ც გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს განსაზღვრულ ს ა ფ ე ხ უ რ ს შესაფერ დროში ჰქონდა აზრი და თავის ალაგას იყო, მაგრამ მზგავსათ წინანდელ სოციალისტურ შკოლების ყველა ერთმხრივობასთან ერთათ, ახლა ესეც დაძლეულ უნდა იქნას, ვინაიდან ის მხოლოდ აზრთა არევდარევას იწვევს, და ვინაიდან ახლა აღმოჩენილია უფრო გარკვეული და სწორი შეხედულება ამ საგანზე.

შევჩერდები აქ, თუმცა ამ უფერული და უძლური პროგრამის ყოველი სიტყვა გაკრიტიკებას საჭიროებს. ეს პროგრამა ისეთია, რომ თუ ის მიღებულ იქნა, მარქსი და მე ვ ე რ ა ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ვერ მივეწერობით ა ხ ა ლ პარტიას, რომელიც ასეთ საფუძველზე აღიმართება, და ჩვენ მოგვიხდება სერიოზული დაფიქრება იმაზე, თუ როგორი დამოკიდებულება—აგრეთვე საჯაროთაც,—უნდა დავიკავოთ მისდამი. ნუ დაივიწყებთ, რომ საზღვარ გარეთ ჩვენ გვაკისრებენ პასუხისმგებლობას ნემეცურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყველა და ყოველგვარ გამოსვლებსა და მოქმედებაში. ასე იქცევა ბაკუნინი თავის თხზულებაში „სახელმწიფოებრივობა და ანარქია“, სადაც ჩვენ გვიმასპინძლდება ყოველ მოუფიქრებელ სიტყვის გამო, რომელიც უთქვამს ან დაუწერია ლიბკნეხტს დღიდან „დემოკრატიულ ყოველკვირეულ ჟურნალის“ დაარსებისა. საზოგადოებას წარმოუდგენია, რომ ჩვენ აქედან ვსარდლობთ (командуем) მთელს პარტიას, მაშინ როცა თქვენც ჩემსავით კარგათ იცით, რომ ჩვენ თითქმის არასოდეს და ოდნავათაც კი არ ჩავრეულვართ პარტიის შინაურ საქმეებში, და თუ ჩავრეულვართ, მხოლოდ ისისთვის, რომ შეძლებისამებრ გამოგვესწორებია შეცდომები, რომლებიც ჩვენის აზრით დაშვებული იყო ხოლმე, და მასთან—შ ე ც დ ო მ ე ბ ი მ ხ ო ლ ო დ წ მ ი ნ დ ა თ ე ო რ ე ტ ი უ ლ ხ ა ს ი ა თ ი ს ა.

მაგრამ, თქვენ თითონ დამეთანხმებით, ეს პროგრამა მომასწავებელია ჩვენი პარტიის გეზის ისეთ შებრუნების, რომელსაც ადვილათ შეუძლია გვაიძულოს ჩვენ უარვყოთ ყოველგვარი პასუხისმგებლობა ამ პარტიის მაგიერ, რომელიც მას სცნობს და აღიარებს. რა თქმა უნდა, პარტიის დაფასების დროს მის ოფიციალურ პროგრამას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენათაც მის ნამოქმედარს. მარა ა ხ ა ლ ი პროგრამა ყოველთვის წარმოადგენს ყველას დასანახავათ აღმართულ დროშას, და გარეშე ქვეყნიერება მისდა მიხედვით სჯის ხოლმე პარტიაზედაც. ამიტომაც ის არას შემთხვევაში არ უნდა წარმოადგენდეს უკან გადადგმულ ნაბიჯს, როგორიცაა ეს პროგრამა ეიზენახის პროგრამასთან შედარებით. შემდეგ საჭირო იყო იმის გათვალისწინებაც, თუ როგორ შეხვდებიან ამ პროგრამას დანარჩენ ქვეყნების მუშები: რა შთაბეჭდილებას გამოიწვევს მუხლმოდრეკა მთელი ნემეცური სოციალისტური პროლეტარიატისა ლასსალიანიზმის წინაშე.

ამასთანავე მე დარწმუნებული ვარ, რომ გაერთიანება ა ს ე თ ნიადაგზე ერთ წელიწადსაც ვერ გასტანს. ნუ თუ ჩვენი პარტიის საუკეთესო მოაზრეები უნდა მოხმარდენ იმას, რომ შეუდგენ გადაღეჭვას გაზეპირებულ ლასსალიანურ დებულებებისა სამუშაო ქირის რკინის კანონზე და სახელმწიფო დახმარებაზე? ერთი მიჩვენა, მაგალითათ, თქვენი თავი ასეთ მდგომარეობაში! დიახ, თქვენ კიდეც რო ჩაიდინოთ ეს, თქვენი მსმენელნი სტვენით გაგიმასპინძლდებიან. და მე დარწმუნებული ვარ, რომ ლასსალიანელები დაჟინებით ჩაცივებული არიან სწორეთ პროგრამის ამ ნაწილებზე, როგორც შეილოკი თავის გირვანქა ხორცზე. რასკოლი უსათუოდ მოხდება; მაგრამ უფრო ადრე ჩვენ გავაპატიოსნებთ გასსელმანს, გაზენკლევერს, ტელკეს; ამ რასკოლიდან ჩვენ დასუსტებული გამოვალთ, ლასსალიანელები კი გაძლიერებულნი; ჩვენი პარტია დაკარგავს თავის პოლიტიკურ უმანკოებას და ვერასოდეს ველარ შესძლებს ვაჟკაცურათ გალაშქრებას ლასსალიანელთა ფრაზების წინააღმდეგ, რომლებიც მას თითონ დაწერილი ჰქონდა საკუთარ დროშაზე განსაზღვრულ პერიოდის განმავლობაში; და როცა ლასსალიანელები კვლავ იტყვიან, რომ ისინი შეადგენენ ერთიან და ერთათ ერთ მუშათა პარტიას, ხოლო ჩვენები კი—ვითომ ბურჟუებია, ეს პროგრამა იქნება მათი სიტყვების სამართლიანობის დამამტკიცებელი. ამ პროგრამაში ნაჩვენები ყველა სოციალისტური ზომები ეკუთვნიან მ ა თ, ხოლო ჩ ვ ე ნ ს პარტიას იქ არაფერი შეუტანია, გარდა წვრილ ბურჟუაზიული დემოკრატიის მოთხოვნებისა, იმ დემოკრატიისა, რომელიც ა გ რ ე თ ვ ე მ ი ს გ ა ნ ა ც მიჩნეულია „რეაქციონური მასსის“ ნაწილათ!

მე განგებ შევაჩერე ამ წერილის გამოგზავნა, რადგან თქვენ გამოდიხართ ციხიდან მხოლოთ 1 აპრილს... და რადგანაც მე არ მინდოდა საფრთხეში ჩამეგდო მისი გადმოცემა კონტრაბანდული გზით. თან, ბრაკეს წერილიც მოგვივიდა. ისიც ძლიერ შეწუხებულია პროგრამის გამო და სურს გაიგოს ჩვენი აზრი ამის შესახებ. ამიტომ საქმის დასაჩქარებლათ მე ამ წერილს მას ვუგზავნი, რათა მანაც წაიკითხოს, და მე კი გავთავისუფლდე მოვალეობიდან ხელმეორეთ ვსწერო ეს აბდაუბდა. თუმცა რამმ-ს მე გადმოუფინე მთელი სინამდვილე, ლიბკნეხტს კი მხოლოდ რამდენიმე სიტყვა მივწერე. მე არ ვაპატიებ მას, რომ მთელ ამ საქმის შესახებ მან ე რ თ ი ს ი ტ ყ ვ ა ც კი არ მოგვწერა (რამმი და სხვებიც კი ფიქრობდენ, რომ ის დაწვრილებით გვაწვდიდა ცნობებს), სანამ, დაბოლოს, უკვე მეტის მეტათ გვიან არ შეიქნა. მართალია ის ყოველთვის აწყობდა ასეთ ოინებს (устраивал такія штуки), და ამით აიხსნება ის ვრცელი არასასიამოვნო მიწერ-მოწერა, რომელიც გვქონდა ჩვენ, მარქსს და მე გაბმული მასთან, მარა ახლახან საქმე ძლიერ შორს წავიდა, ც ჩ ვ ე ნ გ ა დ ა ჭ რ ი თ უ ა რ ს ვ ა ც ხ ა დ ე ბ თ ს ა ე რ თ ო მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ზ ე.......................

თქვენი ერთგული ფ. ე.

# მუშათა ცხოვრება.

## ჩვენში.

### რკინის გზაზე

მიმდინარე წლის ივლისის ბოლო რიცხვებში რკინის გზაზე მოახდინეს შტატების შემცირება და მრავალი ასეული მუშა მოსამსახურე ქუჩაში გაისტუმრეს.

მთავარ როლს დათხოვნის საქმეში რასაკვირველია თამაშობდენ რკინისგზელთა მენშევიკური პროფესიონ. კავშირები.

მრავალ წვრილ-ცოლშვილიანს არსებობის ლუკმა მოუსპეს და წასული ნამსახურის ჯილდოთ ერთ-ნახ. თვის ჯამაგირი მისთავაზეს.

დათხოვნილი აღმოჩნდენ უმეტესათ არა ქართველი ეროვნების და არა-მენშევიკური მიმართულების.

„დემოკრატიულ" კავშირებსაც ეს უნდოდა, რათა რკინის გზა „გაეწმინდათ არასასურველ ელემენტებისაგან".

ქუჩაში გაყრილი ამხანაგები იძულებული შეიქნენ რომ შიმშილათ ცოლ შვილი არ ამოხოცოდათ გადახვეწილიყვენ საბჭოთა აზერბაიჯანში ან რუსეთში.

მას შემდეგ ცხოვრება ისე გაძვირდა, რომ ვინც სამსახურში დარჩა იმათთვისაც შეუძლებელი შეიქნა არსებობა.

რუსეთ-აზერბაიჯანში წასული ამხანაგებისაგან ვ.უყობილობდით, რომ იქ სრულიადაც არ არის მუშების მდგომარეობა ისეთი, როგორც ამას თბილისში გვიხატავდენ, რომ იქიდან არა თუ გარბიან სამოთხისაკენ, არამედ „სამოთხიდან" გაძევებულნი პოულობენ თანაგრძნობას, თავშესაფარს და, რომ იქ მუშები ბევრათ უკეთეს პირობებშია, ვინემ საქართველოში.

ამის შემდეგ აქ დარჩენილებმაც ბევრმა თავი დაანებეს სამსახურს და საქართველოს „სამოთხეს" გაშორდენ. ზოგიერთი მათგანი სპეციალური ხელობისანი იყვნენ, რომელთა დათხოვნა არც-კი სურდა ბ-ნ მენშევიკებს, მარა ძალით ხომ ვერ გააჩერებდენ და იძულებული იყვნენ „რასჩოტი" მიეცათ.

ამ მოვლენამ, რასაკვირველია წარმოებაზედაც არა სასურველი გავლენა იქონია და მენშევიკური ადმინისტრაცია—კავშირებიც შეუდგენ საქმის გამოკეთებას. დათხოვნილ „არა-სასურველ" პირების მაგიერ სამსახურში მიიღეს მათთვის სასურველი ელემენტები. მაგრამ ამ ხერხმა საქმეს ვერ უშველა და რკინის გზის მესვეურებმაც ზოგიერთ ნაწილებში (მთავარი სახელოსნო, დეპო და სხ.) შემოიღეს ღამით მუშაობა, ერთი და იგივე პირი იძულებული გახადეს საღამოობითაც იმუშავონ, და კიდევაც განახორციელეს ეს ზომები.

ორი საათის შემდეგ მუშები სადილის საჭმელადაც ვერ მიდიან სახლში, მხოლოთ იქვე „ნასაუზმები" „მიწიან მტვრიან" პურით განაგრძობენ მუშაობას. ვინც „ვეჩერზე" არ გამოცხადდება მას „შავ წიგნში" აღნიშნავენ და მერე პასუხს მოთხოვენ.

მართალია, არიან ისეთებიც, რომლებიც „კმაყოფილებით" ეწევიან დღეში თორმეტ-თექვსმეტ საათამდე მუშაობას, რადგანაც ღამის საათებში ორჯერ და სამჯერ მეტი ჯილდოს ღებულობენ ერთი გირვანქა „ნეხვიანი" პურის დამატებით და ამითი ცოტათი იმსუბუქებენ ეკონომიურ კრიზისს.

ცხადია, ასეთ პირობებში მუშები მოკლებული არიან თვითშეგნების და საზოგადოებრივ საქმიანობის გაცნობის საშუალებას, რადგანაც ამისათვის არც დრო რჩებათ და არც უნარი და ამ ყოფაში ისინიც ბრმა იარაღს წარმოადგენენ გაბატონებულ კლასების ხელში სათამაშოთ.

მუათა კლუბში, მუშათა სამკითხველოში და სხვა ასეთ დაწესებულებებში ის თვეში ერთხელაც ვერ შეიხედავს და ეს ხთება იქ, სადაც ყველაფერი „უპატიოსნეს" დემოკრატიზმითაა მონათლული და ყველა რევოლიუციის მონაპოვარი „დაცულია" მუშებისათვის. რვა საათის სამუშაო დღე გახადეს 12—16 საათად იქ, სადაც ბოლშევიკებს ამტყუნებენ „სუბოტნიკების" შემოღებაში.

თუ საჭიროთა რუსეთის მუშები იძულებული არიან ეკონომიური აღორძინებისათვის იმუშაონ ზედმეტი საათები თავისივე მუშური სახელმწიფოს სასარგებლოთ—ესაა ანარქია და სოციალიზმის ღალატი, ხოლო თუ „დემოკრატიულ" საქართველოში მთელი შენი ძალ-ღონე ბ-ნ კაპიტალის სამსახურს შესწირე და ყოველივე ადამიანურ ცხოვრებაზე ხელი აიღე—ეს სამოთხეა, რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნება და სოციალიზმისაკენ სწორი გზით სვლაა—ასეთია ჩვენებური მენშევიკების „ბრძნული" ფილოსოფია.

დღეს ყოველ მხრივ შევიწროვებული მუშების მდგომარეობა თან და თან უარესდება და სიმშილს სიკვდილის კარებისაკენ მივყევართ. ხოლო გაუმჯობესობის იმედი სულ იკარგება და ამავე დროს ბურჟუა-სპეკულიანტები ჯიბეებს ისქელებენ და ხალხის ნაოფლარით სუქდებიან. მუშებში უკმაყოფილება თუმცა ჩუმათ, მაინც ფართოვდება და კატასტროფიულ მოვლენებს გვიქადის.

ვნახოთ რას მოგვიტანს მომავალი.

გ. კ—ძე

---

## საზღვარ-გარეთ.

### მაგდებურგის მუშებმა დააკავეს მატარებელი.

ოდესა. ბერლინიდან ბუქარესტში მიღებულ ცნობების თანახმათ მაგდებურგში მუშებმა დააკავეს 15 ვაგონიდან შემდგარი მატარებელი ინგლისის ამუნიციით, რომელიც დანიშნული იყო პოლონეთისთვის.

### არეულობა ინგლისში.

სიძვირის ზრდა იწვევს დიდ უკმაყოფილებას, განსაკუთრებით უმუშევართა შორის. ქ. ბრისტოლში ამ ნიადაგზე მოხდა ახლახან დიდი არეულობა. უმუშევრები ამტვრევდენ მუშებს ტრამვაიში და იმ ზოგიერთ სახლის მეპატრონეთა ბინებზე, რომლებმაც გამოყარეს მუშები ქუჩაში საბინაო ქირის გადაუხდელობის გამო. 9 უმუშევარის დატუსაღების შემდეგ ყუმბარა იქნა ჩაგდებული ციხეში. არეულობას უმუშევრობის ნიადაგზე სხვა ქალაქებშიაც ჰქონდა ადგილი.

### მუშათა მოძრაობა ამერიკაში.

იტალიური კომუნისტური გაზეთი „ილ სოვეტა" იუწყება შემდეგს პროლეტარულ მოძრაობის შესახებ ამერიკაში: მოძრაობა მუშათა შორის იზრდება დღითი დღე და სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს. შემდეგში გაფიცვებს აუცილებლათ პოლიტიკური ხასიათი ექნება მთავრობის ჩარევის გამო მათში.

### გაფიცვა მექსიკაში.

მექსიკაში (ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთი ნაწილი) ნავთის მრეწველობის ოლქში, გამოცხადდა გაფიცვა გაფიცულთა რიცხვი 10 ათას კაცს აღემატება.

---

# სოფელი და მიწის მუშა

### დაბა ძველ სენაკში მშრომელთა მდგომარეობა.

საერთოთ ყველგან და განსაკუთრებით სამეგრელოში, ქალაქებში და სოფლებში მენშევიკები თავის იდეიას ზარბაზნებით, ტყვიის-ფრქვეველებით, ხიშტებით და სხვა ამ გვარ უხეშ ძალების საშვალებით ავრცელებენ. თავიდგან, რაც დაიწყო სამეგრელოში სამოქალაქო ომი ორი მოპირდაპირე კლასებს შორის: ბურჟუაზიასა ანუ მათი დამცველ პარტია მენშევიკებსა და ღარიბ გლეხობასა ანუ მათი ინტერესების დამცველი კომუნისტურ (ბოლშევიკების) პარტიას შორის, დაბა ძველი სენაკი იყო პირველი დაბა რომელმაც სცადა ბურჟუაზიისაგან გაენთავისუფლებინა თავი სამუდამოთ სამოქალაქო ომის ანუ რევოლიუციის საშვალებით. მაგრამ იმ ბრძოლაში უფრო მოწყობილი ომისთვის დარჩა ბურჟუაზია და მათი დამცველი პარტიები, როგორც ძველი ომისთვის მზათ მყოფი თავის ინტერესების დასაცავათ, ნორჩი მუშები კი უფრო მოუმზადებელნი; იქ ცოტა სხვა მიზეზებიც იყო და დამარცხდენ ნორჩი სენაკის მუშები. ეს მოხდა 1918 წელს გაზაფხულში და მას შემდეგ მენშევიკები დაბა ძველი სენაკს ისე უყურებენ, როგორც მგელი თხას და დაბა ძველი სენაკის უბრალო ხსენებაც კი აშინებს მათ.

მენშევიკებს არ სჯერათ, რომ ხსენებული დაბა მათი იყოს და ისე ეპყრობიან იქ მუშებს, როგორც გაველურებული ჯარი მოეპყრობა აღების დროს ადგილებს და მცხოვრებთ. ძველი სენაკში ერობაც რომ აიღოთ, მაგრამ თუმცა აქ სულ მენშევიკ კულაკებია მოკალათებული, იგი რაღაც კანონს გარეშე ორგანიზაციაა, რადგანაც შესდგება ძველი სენაკის უბნის „კულაკებისაგან" და მასთან მენშევიკებისაგან. მტკიცება ამის არ შეადგენს სიძნელეს, რადგანაც ბევრი იყო შემთხვევები, რომ ერობას დაედგინოს სრულიად სამართლიანათ ბევრი რამეები და სამაზრო ერობას არ დაემტკიცებიოს; მაგალითად: ძ.-სენაკის უბნის ერობამ დაადგინა აშკარა ქურდების დაჭერა და სამართალში მიცემა, მაგრამ ეს სამაზრო ერობამ „კარგათ შეასრულა", ქურდები გაუშვა და ძველი სენაკის უბ. ერობას კი ანგარიში მოსთხოვა, თქვენ ვინ მოგცათ ნება ამ რიგათ ქურდების დასჯისაო. ძველი სენაკის უბნის ერობამ განიმეორა ქურდების დაჭერა; სამაგიეროთ სამაზრო ერობამაც განიმეორა მათი ვანთავისუფლება; არის ბრძოლა ორი ერობის შუა, სამაზრო და უბნის ერობებში. სამაზრო ერობის ზოგიერთი წევრებმა თურმე უბნის ერობას ბოლშევიკური ერობაც კი უწოდენ.

გაზაფხულიდან დაწყებული წრეულს სიმშილობამ მუშებს და გლეხობას სული ამოაძრო; მთელ სენაკის მაზრაში დაყიდენ საწყლებმა მარჩენალი ძროხები და ხარები, ცხენები და უფრო ღარიბებმა გამარგლული სიმინდიც კი დაყიდენ; მომავალში მოსალოდნელია უფრო საშინელი სიმშილობა, რადგანაც წრეულს არაფერი დაუტოვებიათ, რის გაყიდვაც შეეძლო საწყლებს. უნდა ვიფიქროთ, რომ გაყიდენ ყველაფერი უფრო ღარიბებმა, და გაყიდენ ისეთ მცირე ფასებში, რომ მეტი არ შეიძლება. მაგალითად, ერთმა ღარიბმა მეზობელმა გაყიდა თავისი ნივთები და იმ ფულებით ძლივს შეინახა თავი ათი დღე ლობიო და ჭადის ჭამით.

ვინ ისარგებლა მუშების ასეთი გაჭირვებით? ვინ შეიყიდა ღარიბების ქონება მცირე ფასებში? ვინ გამდიდრდა და ვინ გაღატაკდა? ცხადია ამ კითხვების პასუხი: გამდიდრდენ ჩარჩი ვაჭრები, სპეკულიანტები და გაღატაკდენ უფრო ღარიბი მუშები. ბურჟუაზია ხარობს, განცხრომაშია; ღარიბი მუშა ტომრებით ქუჩა ქუჩა დადის; ეს ხთება „დემოკრატიული" ქვეყანაში. ამ შემთხვევაში სამაზრო ერობამ ძველი-სენაკის უბნის ღარიბ გლეხობის თხოვნას შიმშილობაში დახმარების მაგივრათ უპასუხა: თქვენ ბოლშევიკები ხართ და ბოლშევიკებს სთხოვეთ დახმარებაო.

ბოლო დროს დაეხმარენ, მხოლოთ იგიც ფასებში, ჯვარდიელთა მშობლებს და ზოგიერთი მენშევიკ გლეხებს თითო ფუთი სიმინდით.

აი ბურჟუაზიული მთავრობის დახმარება ღარიბი მუშებისადმი და გლეხკაცობისადმი. კომუნისტებზე დევნა ძველ სენაკში განსაკუთრებული სისტემით მიმდინარეობს. კომუნისტის დანახვაზე სენაკელი მენშევიკებს თვალებზე ცეცხლი აენთებათ, მაშინათვე გადაყლაპვის წყურვილი მოუათ მაგრამ რას იზმენ, არ ძალუძთ. 14 სექტემბერს მენშევიკებს „ინტერნაციონალის" დელეგაცია ესტუმრათ და ძველი სენაკის მენშევიკებმა არ დააგვიანეს კომუნისტების დაჭერა და 14 სექტ. ღამე დაეცენ ამხანაგ ლავრენტი დავითაის, მაგრამ ის ცოტა მარჯვეთ დაუჩა და გაიქცა. შემდეგ გამოეკიდნენ ხსენებულ ამხანაგს და მიაგნეს, მაგრამ იქიდგანაც გაიქცა: მას კომის რმა და მილიციონერებმა თოფი ესროლეს. შედეგები არ ვიცით. აგრეთვე დაეცნენ ამხანაგ ვარლამ ლეჟავას და დაიჭირეს. ხსენებული ამხანაგები ორიკვირა არაა რაც განთავისუფლდენ ქუთაისის ციხიდგან. ამხ. ლავრენტი დავითაიას მას შემდეგ სდევენ დასაჭერათ.

ძველი სენაკელი ფუტკარი

1920 წ. 20 სექტ.

---

# პროვინციის ცხოვრება.

### სენაკის მაზრა.

სოფელი და ქალაქი საქართველოში განირჩევა ისე, როგორც მენშევიკი მშრომელი ხალხისაგან.

თუ რამე მანუფაქტურა არის, ეს დამფუძნ. კრების წევრის ცოლის, შვილის, ნაცნობის, მეგობარის, ძროხის მოზიარის, მეზობლისაა. რაც გადარჩება—ქალაქის მოსამსახურეებს (ისიც ვიცით, რომ 150 მან. მანუფაქტურა დაურიგეს მუშებს, რომელიც სათქმელად არ ღირს), ქალაქის მუშები ჩვენებრ ერთ ტაფაშია. სოფელი მივიწყებულია—სენაკის მაზრა სპეკულიანტების ხელშია. რაშია საქმე? სპეკულიანტებმა იშოვეს მანუფაქტურა და ერობა-კოოპერატივებმა არა?? ვინ არ ვაჭრობს კოოპერატივ-ერობის (ან ხალხის) სახელით!?

ერთ დამფუძნ. კრების წევრს განუცხადებია, რომ ჩვენ გზა გაგვიკეთეთ და მანუფაქტურას (ნაოლალევი) უზომოს მოვიტანთო. ხალხმა უთხრა: „მანუფაქტურაც თქვენა გაქვთ, გზაც და ყველა ფერიო". ბ-ნ დამფუძნებელ კრების წევრი გაჩუმდა და ვერაფერი სთქვა...

### ერობა და ხალხი.

ერობასა და ხალხს შუა დიდი ხანია ანტაგონიზმი რომ არსებობს. მაზრიდან დაბარებულ იქმნა მაზრის ერობის გამგეობის წევრი ზოგიერთი პასუხისმგებელ პირების მოქმედების შესახებ. მას დაუსურათეს, დაუმტკიცეს ფარული კენჭის ყრით ყველაფერი და ყველას ეგონა, რომ ასეთ პიროვნებას მოაშორებდენ ხალხს, მაგრამ შენ არ მომიკვდე, (გაიხსენეთ მენშევიკების ატესტატი) ის ისევ თავის ადგილზეა, მგონია საქმე მთლად არ უნდა იყოს დასრულებული, როგორც ამას ჩვენი ამხ. ერობის ხმოსნები (წინად მენშევიკები) გადმოგვცემენ.

ერთ კრებაზე ხალხმა ერთხმად მოითხოვა ერობის გამგეობის თავმჯდომარის გადაყენება, მაგრამ მან განაცხადა, რომ ჩემი და საერთოდ ხმოსნების გადაყენება თქვენ არ გეკითხებათო, ხალხმა უპასუხა: „აბა ჩვენ უფლება არ გვქონიაო"! სწორედ რომ არ აქვთ, თორემ მაშინ ასე ვინ გაბედავდა მოქცევას.

თბილისიდან მექრთამეობისათვის (მეორე კომისარიატიდან) გამოგდებულს მაზრაში საპატიო ადგილი აქვს,—ახლა კი კიდევ უფრო აუმაღლებიათ. თვით მაზრაში ბოროტ-მოქმედ—პასუხისმგებელ პიროვნებას ისევ ამ მაზრაში უმაღლესი პოსტი უჭირავს. აი ამას ყველას ჰხედავს მშრომელი ხალხი და გული უკვდება, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი გამოსავალს ეძებს...

მე მგონია, ხალხი ძლიერია და ის ადრე თუ გვიან გამოსავალ გზას გამოსძებნის...

### ხალხი და განათლება.

გაიძახიან, პირველ დაწყებით სკოლებში (4-კლასიანი) უფასო სავალდებულო სწავლააო, და ამას ჩვენ ვერ ვხედავთ (პედაგ. საბჭო, ყველგან თავისებურად აწესებს სწავლას ფულს). მსურველი ბევრია და ადგილი კი ცოტა (ერთ მასწავლებელზე მოდის 100 მოწაფე), ნაყოფი ყოველთვის იყო და არის ცოტა. ხალხი უფრო მოითხოვს სამეურნეო ცოდნის გავრცელებას, მაგრამ კადრი სპეციალისტებისა—არაა... მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა უმწეოა და სულ იმას მოსთქვამენ,—მასწავლებელი უნდა იქმნეს უზრუნველყოფილიო.

### ლექციები და კურსები.

ამ ზაფხულში უნდა მოეწყობილიყო ლექციები, რეფერატები, კურსები, მაგრამ ამის მზგავსს ვერაფერს შევხედეთ. მიზეზი?—მიზეზი, მათ სალაროშია... პედაგოგიური პერსონალი ყველგან არა სდგას თავის სიმაღლეზე.

ერთი სიტყვით: ხალხი და სკოლა, შრომა და სასწავლებელი არაა ერთმანეთთან დაახლოვებული. ხალხში ნიადაგი მზადაა **შრომის სკოლის პრინციპის** პრაქტიკულად განხორციელებისათვის, მაგრამ თვით კადრი არაა—ამ პრინციპის სიმაღლეზე. ხალხსა და ინტელიგენციას შორის უფსკრულია გათხრილი. ხალხს უნდა და უყვარს მშრომელი ინტელიგენცია და მას ხალხი სიმპატიით ეპყრობა...

### გ ზ ე ბ ი.

გზების მდგომარეობა მაზრაში ძალიან ცუდ პირობებშია... აქა იქ შეაკეთეს გზები, მაგრამ ეს ისეთია, როგორ[c] წვეთი ზღვაში...

მაზრაში გზები ერთ პრინციპზე უნ[და] იყოს აგებული—ეს ასე არაა—მიზე[ზი] ყველასათვის ნათელია...

### პოლიტიკური მდგომარეობა.

პოლიტიკურად მაზრა განიყოფება: [1)] მენშევიკები, 2) ფედერალისტები, [3)] ნაციონალისტები, 4) ერ. დემოკრატებ[ი], 5) ესერები, 6) მაფალუ და კომუნის[ტ]ები (ბოლშევიკები.) თუ ვინ არი[ან] მენშევიკები—ეს ხალხმა კარგად იცი[ს]; ფედერალისტები—ეს ხომ ინტელიგე[ნ]ტების პარტიაა და მშრომელი ხალ[ხი] მათ ისე არ ეკარებათ, როგორც ებრ[აელი] ღორის ხორცს; ნაციონალისტ[ები] და ერ. დემოკრატები ხომ მემამულე[ე]ბის—ყოფილი თავად-აზნაურების და [გა]სუქებულ ბურჟუების პარტიაა და მა[თ]თან ხალხს საერთო არაფერი აქ[ვს]. მ[ა]ფალუ—ეს სამეგრელოს ავტონომისტ[ე]ბია და მათი სულისკვეთება და ხალხი[ს] ერთმანეთზე შორსაა—ესერების [მდგო]მარეობა გამოურკვეველია—საერთო[დ] შტაბი ცალიერია. ყველა ზემოხსენებ[ულ] პარტიებში თავს იყრის ცოტად თ[უ] ბევრად უზრუნველყოფილი, მემამულე[ე]ბი, ყოფ. თავად აზნაურები, სპეკულიან[ტები], ჩარჩ-ვაჭრები, სასულიერო წოდება; ხო[]ლო კომუნისტურ (ბოლშევიკურ) პარ[]ტიაში კი, თავს იყრის—ყველა მშრო[]მელი, ღარიბი-ღატაკი და ჩაგრუ[ლ]დევნილი და წვალებული, მაზრაში [] ასეთები 80 პროც. მეტია და ისინი[] ირაზმებიან იმ პარტიის გარშემო, რომ[]ლის დროშაზე აწერია „შრომა და [თა]ვისუფლება, ძმობა და ერთობა".

### რეაქცია და რევოლიუცი[ა].

მაზრაში მენშევიკები—ფედერალის[]ტები. ნაციონ დემოკ. ადმინისტრაცია—გაიგონებენ თუ არა ვრანგელის, ან პო[]ლონეთის, ან ვინმე შავი გენერლის ოდნავ წინ წაწევს საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე, მათ სიხარულს საზ[]ღვარი არა აქვს—ამხანაგებს ეუბნებიან: „თქვენი ბოლშევიკები მალე განადგურ[]დებიანო".

საბჭოთა წითელი ჯარების გამარჯვე[]ბაზე მათ შიშისაგან ენა ებმებათ და ზოგიერთებიც ამბობენ—კაცო! წითელი ჯარი მეც ვიცი, რომ გაიმარჯვებდაო, აქედან აშკარაა, ისინი ნებით თუ უნებლიეთ—რეაქციის მომხრენი არიან...

ჩვენ ვიცით, რომ მსოფლიო დღეს ორ ნაწილადაა გაყოფილი—ბურჟუაზია და პროლეტარიატი. პირველის მხარეზეა, როგორც ვიცით ეს ჩვენი დემოკრატები და მათი ამყოლ-დამყოლნი და მეორეს მხარეზეა, საბჭოთა რუსეთი და მსოფლიოს მშრომელი ხალხი. ბატონებო მოგახსენებთ, რომ მსოფლიო რეაქცია მარცხდება და უნდა დამარცხდეს, როგორც ისტორიის აუცილებელი კანონი.

ამხ. რევოლიუცია იმარჯვებს და მეთორმეტე საათმა უკვე დაჰკრა! თქვენ ფხიზლად ადევნეთ თვალ-ყური მშრომელთა გამარჯვებას..

### მეორე ინტერნაციონალის წარმომ[ადგენლები] და ხალხი.

მაზრაში, რაიონებში და თემებში [...]რო გენერლები ფაცი-ფუცშია,—ევროპის დელეგაცია მოდის სენაკში და შემდეგ რაიონებშიო. მაგრამ ხალხის გულის[]ყური მესამე ინტერნაციონალისაკენაა და ვისი კაუცკი, რა კაუცკია!? მოსკოვი და ბაქოს კონგრესი აი ეს ამბავი ახარებს ხალხს. ზოგიერთი ჩვენი ამხ. გაზეთისათვის 10—15 ვერსი მიდის და ძლივს შოულობს.

რეპრესიები სასტიკია, მაგრამ—უშედეგო.

ხალხის სულიერი განწყობილება კომუნიზმისკენაა.

ნ. პალინი.

## ჩვენი ფოსტა

**სენაკელ ზეუტკას:** გამოგვიგზავნე[თ] ცნობები ადგილობრივ პარტიულ ცხოვ[]რებიდან. თქვენი წერილი იბეჭდება.

**ნ. პალინს.** ხშირ-ხშირათ გამოგვიგზავნეთ კორესპოდენციები ადგილობრივ პარტიულ და მუშათა ცხოვრებიდან გაზეთები გეგზავნებათ.

**მოყვარეს:** არ დაიბეჭდება. გამოგვიგზავნეთ ცნობები ადგილობრივი ცხოვ[]რებიდან.

---

**დრ. რედაქტორი: ა. ქურიძე.**

სტამბა ეკონომია "დიდი ვანქის ქ. № 3